კონკურსი საინჟინრო/სამშენებლო და სამოქალაქო/სარემონტო დარგში ექსპერტ-კონსულტანტის შესარჩევად

FSM-2025-04-07

ინტერნეტზე წვდომის ფლაგმანი: სოფლის გაძლიერება ციფრული ჩართულობის გზით (REDI) არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელსაც 2023 წლის 1 დეკემბრიდან ახორციელებს „სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოში“ (SFPL in GEO) ესტონელ პარტნიორთან - ელექტრონული მმართველობის აკადემიასთან (eGA) ერთად. REDI მიზნად ისახავს შეამციროს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს შორის ციფრული განვითარების კუთხით არსებული უთანასწორობა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაძლიერებისა და ციფრული წიგნიერების ამაღლების გზით. ინიციატივის სამიზნე კონკრეტული რეგიონებია - გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, იმერეთი, კახეთი.

რაც შეეხება ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომელიც წამოადგენს პროექტის ორი ძირითადი მიმართულებიდან პირველს, იგი განხორციელდება, როგორც Open Net პროგრამის პროექტ Log-in Georgia-ს შემდგომი ეტაპი და მიზნად ისახავს სამიზნე რეგიონების ≈200 შერჩეული სოფლის მაცხოვრებლისთვის საჯარო სივრცეებში ინტერნეტსა და ტექნოლოგიებზე წვდომის უზრუნველყოფას.

პროექტის მეორე მიმართულებას წარმოადგენს სოფლებში 25 ციფრული სასოფლო ჰაბის (DRHs) შექმნა. ამ აქტივობის მთელი ციკლის შესამოწმებლად, პროექტის გუნდმა გადაწყვიტა საპილოტედ მოაწყოს შვიდი (7) ჰაბი გურიისა და რაჭის რეგიონის 7 სოფელში. DRH მოეწყობა თითოეული სოფლის საზოგადოებრივი/მუნიციპალური ან სხვა არსებული შენობის ერთ ოთახში. შერჩეული ოთახები საჭიროებს სარემონტო (სარეაბილიტაციო) სამუშაოებს, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ჰაბების ფუნქციონირების კრიტერიუმებთან. აღნიშნულ სარემონტო სამუშაოებს შეასრულებს ორგანიზაციის მიერ დაქირავებული კერძო სარემონტო კომპანია. სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულების უზრუნველსაყოფად, პროექტის გუნდისთვის მნიშვნელოვანია დარგობრივი ექსპერტ-კონსულტანტის მიერ სამუშაოების რეგულარული მონიტორინგი, შეფასება და პროგრესის შესახებ ინფორმაციის პროექტის გუნდისთვის მიწოდება.

შესაბამისად, REDI-ს გუნდი, მომსახურების ხელშეკრულების დადების მიზნით, ეძებს ექსპერტ-კონსულტანტს, რომელსაც აქვს გამოცდილება საინჟინრო/სამშენებლო და სამოქალაქო/სარემონტო სამუშაოების სფეროში.

მოთხოვნილი სერვისი: საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევა პროექტის „სოფლის გაძლიერება ციფრული ჩართულობის გზით (REDI)“ ფარგლებში.

მოვალეობები:

- მონიტორინგი გაუწიოს და შეამოწმოს სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამუშაოების ტექნიკურ სპეციფიკაციებთან, საპროექტო

დოკუმენტაციასთან, მოთხოვნილ სამუშაოსთან და ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობა;

- შეაფასოს შესრულებული სარემონტო სამუშაოები და საჭიროების შემთხვევაში წარადგინოს შესაბამისი ანგარიში განხორციელებული სამუშაოების ხარისხის შესახებ;
- სარემონტო სამუშაოების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით განახორციელოს პერიოდული ვიზიტები გურიისა და რაჭის რეგიონის შერჩეულ სოფლებში;
- შეაფასოს სარემონტო/საინჟინრო გეგმები, ასევე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტაცია მათი სიზუსტისა და განხორციელებადობის დასადგენად, დამკვეთს გაუწიოს კონსულტაცია, დაუდასტუროს სამუშაოების შესაბამისობა;
- შენობების რემონტსა და საინჟინრო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით კონსულტაცია გაუწიოს REDI-ის გუნდს და საჭიროების შემთხვევაში დაესწროს შეხვედრებს;
- დროულად დააფიქსიროს სარემონტო სამუშაოების განხორციელების პროცესში წარმოქმნილი პოტენციური რისკები, დაბრკოლებები და წარმოადგინოს რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად; ზედამხედველობა გაუწიოს შემსრულებელ გუნდს და მისცეს მითითებები;
- შეამოწმოს, რომ ყველა სარემონტო სამუშაო ხორციელდება საქართველოს სამშენებლო ნორმებისა და რეგულაციების შესაბამისად;
- მონაწილეობა მიიღოს დასრულებული სამუშაოების ჩაბარებაში, რაც მოიცავს საბოლოო ინსპექტირებას და იმ ფაქტის დადასტურებას, რომ სივრცე მზადაა ციფრული სასოფლო ჰაბის მოწყობისთვის.

1. დავალების ხანგრძლივობა

2025 წლის განმავლობაში (31.12.2025-მდე), გახანგრძლივების შესაძლებლობით, მხარეთა შორის სახელშეკრულებო მოლაპარაკებების საფუძველზე, არა უმეტეს 2026 წლის 31 დეკემბრისა.

2. დავალების შესრულების ადგილ(ებ)ი

შერჩეულ ექსპერტ-კონსულტანტს მოეთხოვება პერიოდული ვიზიტ(ებ)ის განხორციელება გურიისა და რაჭის რეგიონების შერჩეულ სოფლებში. ასევე, საჭირო იქნება ონლაინ და პირადი შეხვედრები თბილისში.

**სოფლების სია დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე.*

3. გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები

3.1 სავალდებულო მოთხოვნები:

3.1.1 უმაღლესი განათლება საინჟინრო/სამშენებლო/სამოქალაქო სამუშაოების/არქიტექტურის და/ან მასთან მომიჯნავე დარგებში მიღებული ავტორიზებულ ქართული ან/და საერთაშორისო უნივერსიტეტში.

3.1.2 სამშენებლო-საინჟინრო/სამოქალაქო სამუშაოების/არქიტექტურის და/ან მასთან მომიჯნავე დარგში მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება;

3.1.3. სამუშაო გამოცდილება საინჟინრო/სამშენებლო/სამოქალაქო/სარემონტო სამუშაოების შესრულების მონიტორინგისა და ზედამხედველობის მიმართულებით;

3.1.4 REDI-ის სამიზნე რეგიონების (გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) შერჩეულ სოფლებში პერიოდული ვიზიტების განხორციელების შესაძლებლობა.

3.2 დამატებითი მოთხოვნები:

3.2.1 საერთაშორისო დონორებთან/ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება <u>ჩაითვლება უპირატესობად;</u>

3.2.2 ინგლისურ ენაზე გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი <u>ჩაითვლება უპირატესობად.</u>

ის შეთავაზებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მოცემულ თავში ჩამოთვლილ მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნებს (3.1), გამოეთიშებიან კონკურსს.

4. შეფასების კრიტერიუმები ყველაზე საუკეთესო წინადადების შესარჩევად (მაქს. 80 ქულა)

4.1 გამოცდილება (მაქს. 30 ქულა)

4.1.1. სამოქალაქო/საინჟინრო/სამშენებლო სამუშაოების/არქიტექტურის და ან მასთან მომიჯნავე სფეროში მუშაობის გამოცდილება - **(მაქს. 15 ქულა)**

- 10 წელზე მეტი გამოცდილება – 15 ქულა
- 8-დან 10 წლამდე გამოცდილება - 10 ქულა
- 5-დან 7 წლამდე გამოცდილება- 5 ქულა

4.1.2 სამუშაო გამოცდილება საინჟინრო/სამშენებლო/სამოქალაქო/სარემონტო სამუშაოების შესრულების მონიტორინგისა და ზედამხედველობის მიმართულებით - **(მაქს. 15 ქულა)**

- 5 წელზე მეტი გამოცდილება – 15 ქულა
- 3-დან 5 წლამდე გამოცდილება - 10 ქულა
- 1-დან 2 წლამდე გამოცდილება- 5 ქულა
- 1 წლამდე გამოცდილება - 0 ქულა

4.2 მომსახურების ღირებულება (ერთი სამუშაო დღე შეადგენს 8 საათს) – (მაქს. 30 ქულა)

მომსახურების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იყოს სააპლიკაციო ფორმაში.

„მომსახურების ღირებულების“ კრიტერიუმით შეფასება დაეფუძნება შემდეგ ფორმულას:

P= Pmin/Pof x 20 ქულა

სადაც:

Pmin - ყველაზე დაბალი შემოთავაზებული ფასი

Pof – ფასი წარმოდგენილია შემოწმებულ შეთავაზებაში

P – ფასის კრიტერიუმით შემოწმებულ შეთავაზებაზე მინიჭებული ქულების რაოდენობა, დამრგვალებული სრულ რიცხვამდე.

<u>ხელშემკვრელ ორგანოსა და კონტრაქტორს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ევროს შესაბამისი კურსით ლარში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.</u>

4.3 გასაუბრება (მაქს. 20 ქულა)

გასაუბრება მიზნად ისახავს შეაფასოს კანდიდატის შესაბამისობა დაწესებულ მოთხოვნებთან და მის მიერ სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა.

გასაუბრების პროცესში მოწვეულნი იქნებიან მხოლოდ შერჩეული აპლიკანტები.

5. განაცხადის შეტანა

განაცხადი ტენდერში მონაწილეობაზე წარმოდგენილი უნდა იქნას მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილად გამოგზავნის გზით, არაუგვიანეს 2025 წლის 5 მაისისა თბილისის დროით 23:59 საათამდე, შემდეგ მისამართზე: redi@solidarityfund.pl

განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

- **დიპლომი;**
- **დეტალური CV (რეზიუმე) და/ან პორტფოლიო PDF ფორმატში;**
- **მინიმუმ 2 რეკომენდატორის (შეიძლება იყვნენ წინა დამსაქმებლები ან კოლეგები) საკონტაქტო ინფორმაცია ან საკონტაქტო ინფორმაციის ნაცვლად, 2 სარეკომენდაციო წერილის წარმოდგენა;**
- **სააპლიკაციო ფორმა შევსებული, ხელმოწერილი და დასკანერებული PDF ფორმატში. განაცხადის ჩამოსატვირთად დააჭირებთ აქ**
- **ფისკალური განაცხადი შევსებული, ხელმოწერილი და დასკანერებული PDF ფორმატში. განაცხადის ჩამოსატვირთად დააჭირეთ აქ**

თუ რომელიმე დოკუმენტი არ იქნება წარმოდგენილი, აპლიკანტი გამოეთიშება შესარჩევ კონკურსს ფორმალური მოთხოვნების ვერ დაკმაყოფილების საფუძველზე.

კითხვები ტენდერთან დაკავშირებით შეგიძლიათ მოგვწეროთ მისამართზე redi@solidarityfund.pl საბოლოო ვადის გასვლამდე.

6. ხელშემკვრელი ორგანო არ მიიღებს ტენდერის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილ სატენდერო დოკუმენტაციას/კითხვას.

7. პროცედურის შედეგის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება განმცხადებლის მიერ მითითებულ ელ. ფოსტაზე და გამოქვეყნდება Solidarity Fund PL_GEO Facebook გვერდსა https://www.facebook.com/solidarityfund.ge და https://participatoryhub.ge/ -ზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის შეტანით თქვენ თანახმა ხართ გაუზიაროთ განაცხადის შინაარსი სხვა განმცხადებლებს, (გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ანონიმური იქნება) რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა SFPL -ში.

8. შერჩეულ კონტრაქტორთან/კონტრაქტორებთან გაფორმდება ხელშეკრულება.

9. კონტრაქტორ(ებ)ს, რომლის ტენდერიც ჩაითვლება ყველაზე უპირატესად, იქნება ინფორმირებული ხელშემკვრელ ორგანოს მიერ ხელშეკრულების გაფორმების ადგილისა და თარიღის შესახებ.

10. ხელშეკრულების გაფორმებამდე კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაცია ხელშეკრულების შინაარსის შესავსებად, ხელშემკვრელ ორგანოს მოთხოვნით.

11. თუ ეკონომიკური ოპერატორ(ებ)ი, რომლის სატენდერო წინადადება ჩაითვალა ყველაზე უპირატესად, თავს აარიდებს ხელშეკრულების დადებას, ხელშემკვრელ ორგანოს შეუძლია ხელახლა განიხილოს და შეაფასოს ტენდერის შედეგი დარჩენილი ეკონომიკური ოპერატორების შემოთავაზებებიდან ან გააუქმოს პროცედურა.

12. ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენელმა პირებმა ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა წარმოადგინონ ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ ასეთი ავტორიზაცია არ დასტურდება ტენდერის თანდართული დოკუმენტებიდან.

13. სოლიდარობის ფონდი პლ უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და კანონიერ მოპყრობას დასაქმების პროცესში რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნული წარმომავლობის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, პოლიტიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დაცული გენეტიკური ინფორმაციის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

14. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განაცხადებში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორია სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ვარშავაში, ქუჩა Mysłowicka 4, 01-612 ვარშავა. მონაცემები დამუშავდება მე-6 მუხლის 1 გ პუნქტის საფუძველზე პერსონალური მონაცემების დაცვის პოლონეთის კანონის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. თქვენ გაქვთ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება და უფლება მოსთხოვოთ ადმინისტრატორს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, რომელიც ექვემდებარება კანონის 18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. თქვენ გაქვთ უფლება, საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს. მონაცემთა მაკონტროლებელი არის სოლიდარობის ფონდი PL

საქართველოში, ჭავჭავაძის გამზირი 20, ბინა #3, სართული 2, 0179 თბილისი, საქართველო. თქვენი უფლებებით სარგებლობისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ SFPL-ს საქართველოში პირდაპირ მისამართზე georgiarep@solidarityfund.pl – ჩვენ მზად ვართ დავიცვათ თქვენი უფლებები ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში.